სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში ბაკალავრიატის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შესარჩევი კომისიის

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში ბაკალავრიატის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შესარჩევი კომისია (შემდგომში - კომისია) შექმნილია და მოქმედებს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 7 მაისის №3 ბრძანების საფუძველზე;
2. კომისიის მიზანია, გამოავლინოს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურზე მიმდინარე სემესტრში აქტიური სტატუსის მქონე განსაკუთრებით ნიჭიერი 106 სტუდენტი მათი ფინანსური წახალისებისათვის. განსაკუთრებით ნიჭიერ სტუდენტთათვის პრეზიდენტის სტიპენდიით დაფინანსება ითვალისწინებს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსებას თსუ–ში უკანასკნელი გასული სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, შერჩევის საფუძველზე. ასევე, ის სტუდენტები, რომლებიც წინა კალენდარულ სემესტრში იმყოფებოდნენ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს მუნდუსის პროექტების, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებისა და თსუ-სა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (პარტნიორ უნივერსიტეტებს) შორის გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების საფუძველზე;
3. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 7 მაისის №3 ბრძანებით დამტკიცებულია კომისია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის შემდეგ თანამშრომელთა შემადგენლობით:
   3.1. შორენა წენგუაშვილი (კომისიის თავმჯდომარე);
   3.2. დარეჯან მურაჩაშვილი;
   3.3. მაია მეტრეველი;
   3.4. გენრიეტა ჯოხაძე;
   3.5. მეგი როზომაშვილი;
   3.6. ასმათ გზობავა;
   3.7. თეონა გოგნაძე;
4. კომისია მუშაობს სამართლიანობისა და კანდიდატთა თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების პრინციპის გათვალისწინებით;
5. კომისია მხედველობაში იღებს:
   5.1. წინა სემესტრის განმავლობაში (2019 წლის 1 აგვისტოდან 2020 წლის 1 მარტამდე) საქართველოში ან საზღვარგარეთ ჩატარებულ სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობის/გამარჯვების დამადასტურებელ დოკუმენტს/დოკუმენტებს

(დათარიღებული სერტიფიკატი ან ცნობა) ასეთის არსებობის შემთხვევაში. საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნული აქტივობა შეიძლება ასევე დადასტურდეს სტუდენტური კონფერენციის ორგანიზატორთა ოფიციალური წერილობითი კორესპონდენციით. შერჩევის პროცესში მხედველობაში არ იქნება მიღებული ისეთი დოკუმენტი, რომლითაც ვერ დგინდება სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციის ჩატარების ზუსტი თარიღი. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიიღება მხოლოდ მაშინ, თუ იგი აზუსტებს უკვე წარმოდგენილი დოკუმენტის რომელიმე ნაწილს (მაგ.: თარიღი, თემა, გამარჯვება);

5.2. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი/ნაშრომებს ასეთის არსებობის შემთხვევაში. სამეცნიერო ნაშრომი, ასევე, გამოქვეყნებული უნდა იყოს წინა სემესტრში (2019 წლის 1 აგვისტოდან 2020 წლის 1 მარტამდე), რაც უნდა დასტურდებოდეს სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენილი ასლით;

6. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარი მაინც. კომისიის ყოველი გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება კონკურსანტის სასარგებლოდ;

7. კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის 106 კონკურსანტი, რომელიც წინა სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, 100-ქულიანი სისტემით განხორციელებული შერჩევის საფუძველზე მიიღებს უფრო მაღალ შეფასებებს;

8. იმ შემთხვევაში, თუ დასაფინანსებელთა სიაში ბოლო პოზიციაზე გამოიკვეთა ერთნაირი მონაცემების მქონე ორი ან მეტი კანდიდატი, შერჩევის პროცესში უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს უფრო მაღალი GPA;

9. 100-ქულიანი სისტემის ფარგლებში სტუდენტის შეფასება ხორციელდება შემდეგი კომპონენტებით:

9.1. აკადემიური მოსწრება ფასდება მაქსიმუმ 95 ქულით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა სემესტრში სასწავლო კურსებში (არანაკლებ 26 კრედიტი) მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით;

9.2. სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება ფასდება მაქსიმუმ 1 ქულით (მხედველობაში მიიღება წინა სემესტრში გამოქვეყნებული ნაშრომები);

9.3. სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა ფასდება მაქსიმუმ 4 ქულით (მხედველობაში მიიღება წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები):

9.3.1. ორგანიზატორი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 1 ქულა, ხოლო საპრიზო ადგილი (I, II, III ადგილი) – 0,5;

9.3.2. ორგანიზატორი - სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან სხვა ორგანიზაცია - 0,5 ქულა, ხოლო, საპრიზო ადგილი (I, II, III ადგილი) – ასევე, 0,5;

9.3.3. საქართველოს ფარგლებს გარეთ მოხსენების გაკეთება უცხო ენაზე - 1,5;

10. ამ რეგლამენტის მე-9 პუნქტში აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით კომისია ადგენს თითოეული კრიტერიუმის შეფასების ჯამს. მონაწილე კონკურსანტთა შორის გამარჯვებულად გამოცხადდება ის 106 კონკურსანტი, რომელიც კომპონენტების შეფასებების ჯამით დააგროვებს ყველაზე მაღალ შეფასებას;

11. კონკურსში მონაწილე სტუდენტებმა პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში უნდა მოგვმართონ თსუ-ის სასწავლო პროცესის მართის ელექტრონული სისტემის LMS.TSU.GE საშუალებით. განაცხადი უნდა გამოიგზავნოს კატეგორიიდან „სასტიპენდიო ქულის გასაჩივრება“.

კომისიის წევრები

შორენა წენგუაშვილი (კომისიის თავმჯდომარე)
დარეჯან მურაჩაშვილი
მაია მეტრეველი
გენრიეტა ჯოხაძე
მეგი როზომაშვილი
ასმათ გზობავა
თეონა გოგნაძე